თბილისის ლანდშაფტის დაცვითი ზონები: მეთოდოლოგია და პრაქტიკა

ნოდარ ელიზბარაშვილი

ელ.ფოსტა: nodar.elizbarashvili@tsu.ge;

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

თბილისის ლანდშაფტის დაცვითი ზონის Gგანსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც მისი ძირითადი მიზანი, ისე ლანდშაფტისსტრუქტურულ-ფუნქციური თავისებურებანი.

ლანდშაფტის დაცვითი ზონის ძირითადი მიზანია დასახლებული პუნქტების ისტორიული ნაწილის (ცალკეული შენობების, ქუჩების, მოედნების, კვარტლების, განაშენიანების), არქიტექტურული ანსამბლების, ღირსშესანიშნავი ადგილების, არქეოლოგიური ძეგლების და ლანდშაფტური არქიტექტურის ელემენტების (ბაღების, პარკებისა და სკვერების) შენარჩუნება.ლანდშაფტის დაცვითი ზონა ასევე იქმნება დასახლებულ პუნქტში ან მის ფარგლებს გარეთ იმ ტერიტორიებზე, რომლებიც არ აღმოჩდნენ ისტორიული მნიშვნელობის მქონე ძეგლის დაცვის ან განაშენიანების რეგულირების არეალში.

ლანდშაფტის დაცვითი რეჟიმი გულისხმობს ბუნებრივი კომპონენტების (განსაკუთრებით ისტორიულად ღირებული რელიეფის ფორმების, წყალსატევების და მცენარეული საფარის) მაქსიმალურ დაცვას და შენარჩუნებას; ლანდშაფტის თვითაღდგენის ზონის და მექანიზმების განსაზღვრას, მისი და ბუნებრივი გარემოს ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებას;

ლანდშაფტის დაცვითი ზონის საზღვრების დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს: ბუნებრივი და ტოპოგრაფიული პირობები, ისტორიული ძეგლის კომპოზიციური კავშირი ბუნებრივ გარემოსთან, ტერიტორიის ურბანიზებულობის ხარისხი, რაიონული დაგეგმარების პროექტები.

თბილისის ფარგლებში შესაძლებელია გამოიყოს ლანდშატის დაცვის რამდენიმე ზონა, რომლებიც მნიშვნელობის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1. თბილისის ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონა (მოიცავს მე-20 საუკუნემდე განაშენიანებულ ტერიტორიას)
2. თბილისის ლანდშაფტის დაცვის პირველი ზონა (მოიცავს მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში განაშენიანებულ ტერიტორიას)
3. თბილისის ლანდშაფტის დაცვის მეორე ზონა (მოიცავს მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე განაშენიანებულ ტერიტორიას)
4. თბილისის ლანდშაფტის დაცვის მესამე ზონა (მოიცავს მე-20 საუკუნის ბოლოს განაშენიანებულ ტერიტორიას)

გარდა დაცვითი ზონებისა, შესაძლებელია გამოყოფილ იქნას გარემოსდაცვითი და ესთეტიკური ზონები, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობენ თბილისის ლანდშაფტის დაცვასა და ფორმირებაში. 1. როგორც გარემოს დაცვით, ისე ესთეტიკურ ლანდშაფტს წარმოადგენს მდინარე ვერეს ხეობა, საგურამოს ქედის სამხრეთ ფერდობები; კუს ტბის და ოქროყანის მიმდებარე თრიალეთის ქედის ფერდობები; 2. ესთეტიკურ ლანდშაფტს წარმოადგენს თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიები, 3. გარემოსდაცვით ლანდშაფტს (#8) ქმნის თრიალეთის ქედის განშტოებები კოჯორის, ტაბახმელას, წავკისის, სოფელ დიღომის და მუხათგვერდის მიდამოებში.